მესაკუთრის თანხმობა

იურიდიულ მოქმედებათა განხორციელების თაობაზე

ერთი მხრივ, მადონა არდაზიშვილი (პ/ნ 01001000010), ნდობით აღჭურვილი პირი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 171372935) ფ.პ. იორამ ტვილდიანი (პ/ნ: 01027009775) როგორც ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N50 -ში მდებარე N 01.17.10.002.260 (935 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, აღნიშნული მიწის ნაკვეთის შემმენის შპს „პრაიმ ფროფერთი გრუპის“ (ს/ნ 404615886), მისი უფლებამონაცვლეების/სამართალმემკვიდრეების/მის მიერ უფლებამოსილი პირების მიმართ გავცემ თანხმობას შემდეგი შინაარსით:

ვინაიდან, ჩემს მიერ გასხვისებულ N 01.17.10.002.260 საკადასტრო ერთეულზე შემმენი კისრულობს აშენებულ ობიექტში უძრავი ქონების ჩემთვის გადმოცემის ვალდებულებას და აღნიშნული ვალდებულება რეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში, შემმენი, მისი უფლებამონაცვლეები/სამართალმემკვიდრეები/მის მიერ უფლებამოსილი პირები, სამშენებლო სამუშაოებისა ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუფერხებლად წარმართვის მიზნით უფლებამოსილნი არიან აღნიშნულ საკადასტრო კოდზე და ასევე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად შექმნილ ახალ საკადასტრო კოდზე ჩემი, როგორც უძრავი ქონების ყოფილი მესაკუთრისა და ასევე უძრავი ქონების ამონაწერში რეგისტრირებული ვალდებულების ფარგლებში უფლებამოსილი პირის, დამატებითი თანხმობის გარეშე, მიიღონ ნებისმიერი საჭირო ზომა მისი სხვა საკადასტრო ერთეულებთან გაერთიანების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შეათანხმონ განაშენიანების რეგულირების გეგმა (ყველა ეტაპი) მოითხოვონ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტის შეთანხმება/დემონტაჟის ნებართვის გაცემა, თავად განსაზღვრონ ყველა მოთხოვნის შინაარსი, განათავსონ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა/მისი ნაწილი, თავისუფლად ფლობდნენ, სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთით, განკარგონ/გაასხვისონ, უფლებრივად დატვირთონ იგი (ჩემს მიმართ არსებული ვალდებულების უცვლელად შენარჩუნების პირობით) განახორციელონ აშენებული/ასაშენებელი ფართების განშლა/რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ნებისმიერი უფლების რეგისტრაცია, გაერთიანება სხვა მიწის ნაკვეთთან, დაყოფა, კონფიგურაციის ცვლილება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ცვლილება, ნებისმიერი ფორმით გაასხვისონ/გაყიდონ ასაშენებელი/აშენებული უძრავი ქონების არასაცხოვრებელი ფართი/ბინა - ერთეულები/ავტოსადგომები და სხვა, აწარმოონ მშენებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედების განხორციელებისთვი თანხმობის მიმღები სუბიექტები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად/ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე მიმართონ ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოს/საჯარო დაწესებულებას, მათ შორის, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სსიპ -საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ნებისმიერ სხვა დაწესებულებას, ფიზიკურ პირებს, ნოტარიუსებს, კომერციულ ბანკებს, წარადგინონ განცხადება/დოკუმენტაცია, დააყენონ მოთხოვნა და განსაზღვრონ მისი შინაარსი, ჩაიბარონ მომზადებული პასუხები, გადაიხადონ მოსაკრებლები/გადასახდელები, დადონ გარიგებები და განახორციელონ ნებისმიერი სხვა მოქმედება, რომელიც ამ თანხმობაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

მადონა არდაზიშვილი (პ/ნ 01001000010)

წარმომადგენელი: ნდობით აღჭურვილი პირი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

171372935) ფ.პ. იორამ ტვილდიანი (პ.ნ 01027009775)

---იორამ ტვილდიანი---

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220737371
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი ია ყიფიანი	ია ყიფიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	570506164
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41659043199622

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაორი წლის თექვსმეტ ივნისს, ნოტარიუს ია ყიფიანის შემცვლელ პირს - ნათია აფციაურს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 68-ში, მომმართა:

ბატონმა **იორამ ტვილდიანმა** (დაბ. 23.08.1972 წელს, პირადი # 01027009775, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, კორპუსი 13, ბინა 60)

წარმოადგინა მის მიერ შედგენილი და ტექნიკურად გამართული მესაკუთრის თანხმობა (2 ეგზ., თითოეული 2 გვ.) და მისი სურვილია აღნიშნულ თანხმობაზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით.

წარმოდგენილის პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

თანხმობას ხელმომწერმა ხელი მოაწერა ჩემი - ნოტარიუსის შემცვლელი პირის თანდასწრებით.

მე, ნოტარიუსის შემცვლელმა პირმა ხელმომწერს განვუმარტე, რომ ვადასტურებ აღნიშნულ თანხმობაზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ თანხმობის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12 # 507 დადგენილების 31.3 - მუხლის საფუძველზე - 8.00 ლარი, მუხლი - 39-ის საფუძველზე - 2 ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ - 1.44 ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად. სულ - 11.44 ლარი.

ნოტარიუს ია ყიფიანის შემცვლელი პირი

ნათია აფციაური

6/16/2022, 5:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220798781
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის ასლის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნანა ბაკურაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 33 18 67
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	66502422658722

დამოწმდა მესაკუთრის თანხმობის იურდიული მოქმედების განხორციელების თაობაზე, ხელმოწერა დამოწმებული ნოტარიუს ია ყიფიანის შემცვლელი პირის ნათია აფციაურის მიერ 16.06.2022წ. რეგისტრაციის N220737371 ასლის სისწორე დედანთან ოთხ გვერდად სამ ეგზემპლარად
გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 24.0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება #507) 31-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე ____________________

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

